ძირითადი საკითხები
2020 წლის მადლიერების დღის კონფერენციისათვის

ქრისტე, რომელიც ცვლის თავისი თავით ჩვენს კულტურას ერთი ახალი
კაცისათვის არის ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე,
ის, ვისაც აქვს პირველობა და არის ცენტრალურობა და უნივერსალურობა
ღმერთის სახლმშენებლობისა.

როდესაც ჩვენ მივიღებთ ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტეს ხედვას,
განვიცდით მას როგორც ჩვენს სიცოცხლეს და შემადგენელ ელემენტს მთელი
ჩვენი არსებისა და ვიცხოვრებთ მას, და არა ჩვენს კულტურას,
ჩვენ შორის პრაქტიკულად გამოჩნდება ერთი ახალი კაცი
და ჩვენ განვახორციელებთ ახალი კაცის ცხოვრებას სინამდვილეში.

ჩვენ უნდა განვახლდეთ დღითი დღე
ადგომის სიცოცხლის ახალი შეწევნის დახმარებით,
რათა ჩვენი კულტურა შევცვალოთ და გავხდეთ ერთი ახალი კაცი სინამდვილეში,
გავხდეთ ისეთივე ახლები, როგორც ახალი იერუსალიმი.

ჩვენ უნდა ვიცხოვროთ ერთი ახალი კაცის ცხოვრებით, და არა ჩვენი კულტურით,
ვისწავლოთ ქრისტე იმის თანახმად, როგორი სინამდვილეც არის იესოში;
როგორც ცხოვრობდა დედამიწაზე უფალი იესო,
ასევე უნდა იცხოვროს დღეს ერთმა ახალმა კაცმა.

© 2020 Living Stream Ministry

საერთო თემა:
ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე ცვლის კულტურას
ერთი ახალი კაცისათვის

შეტყობინება პირველი

გადაუდებელი საჭიროება ჩვენი კულტურის ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტეთი ჩანაცვლებისა

ადგილები წერილიდან: კოლ. 1:12-13, 15-18, 27; 2:8, 14-15; 3:4, 10-11

I. კოლასელთა მიმართ წერილი იმიტომ დაიწერა, რომ ეკლესია კოლოსში დაპყრობილი იყო კულტურით და წმიდანების ყურადღება ქრისტედან გადატანილი იყო კულტურაზე – 2:8, 16-17; 3:10-11:

ა. კოლოსში კულტურამ აავსო ეკლესია, ჩაანაცვლა ქრისტე და მოიტაცა წმიდანები – 2:8.

ბ. ღმერთის მტერი იყენებს კულტურას იმ მიზნით, რომ ჩაანაცვლოს ქრისტე; ის ცდილობს, გამოიყენოს კულტურის კარგი ასპექტები, რათა ჩაანაცვლოს ქრისტე – შდრ. ფილიპ. 3:4-8.

გ. კოლასელთა მიმართ წერილის თანახმად, ქრისტეს ანაცვლებს კულტურა; ამ წერილში ნაჩვენებია, რომ ქრისტეს საბოლოო ჩანაცვლება არის ჩვენი კულტურა.

დ. კოლასელთა მიმართ წერილში *სიბნელის ძალაუფლებაში* იგულისხმება კულტურისა და ჩვენი ბუნებრივი არსების განსაკუთრებით კარგი ასპექტები – 1:12-13:

1. წმიდანები კოლოსში აღმოჩნდნენ სიბნელის ძალაუფლების ქვეშ, იმის მეშვეობით, რომ შესაძლებლობა მისცეს კულტურის უმაღლეს ასპექტებს, შემოჭრილიყვნენ ეკლესიაში – 2:8.
2. კულტურის უმაღლესი ნამუშევრები, მიუხედავად ამისა, არის სიბნელის ძალაუფლების ასპექტები, რომელთა მეშვეობითაც სატანა მართავს ადამიანებს – 1:13.
3. ყველაფერი, რაც არის ქრისტეს ჩანაცვლება, ხდება სიბნელის ძალაუფლება, რომელიც გვმართავს ჩვენ – მუხ. 13.

II. ადამიანური კულტურა გაჩნდა ადამიანის დაცემის შემდეგ – დაბ. 4:16-22:

ა. მას შემდეგ, რაც ჩამოშორდა ღმერთის თანდასწრებას, კაენმა ააშენა ქალაქი, იმისათვის, რომ დაეცვა თავისი თავი და შეენარჩუნებინა თავისი არსებობა – მუხ. 16-17:

1. ამ ქალაქის შიგნით მან შექმნა კულტურა, რომელშიც არ იყო ღმერთი, მან შექმნა უღმერთო კულტურა.
2. ბაღში ღმერთი ადამიანისათვის იყო ყველაფერი – მისი დაცვა, უზრუნველყოფა, შეწევნა და გართობა; მას შემდეგ, რაც დაკარგა ღმერთი, ადამიანმა დაკარგა ყველაფერი.
3. მას შემდეგ, რაც დაკარგა ღმერთი, ადამიანი იძულებული გახდა, რომ გამოეგონებინა ადამიანური კულტურა, რომლის ძირითადი ელემენტებიც იყო ქალაქები არსებობისათვის, პირუტყვის მოშენება

მატერიალური უზრუნველყოფისათვის, მუსიკა ტკბობისათვის და იარაღი თავდაცვისათვის – მუხ. 20-22.

ბ. ერთი შეხედვით, უღმერთო კულტურა გამოიგონა ადამიანმა, რომელმაც უარი თქვა, რომ ევლო ღმერთის გზით და შედეგად დაკარგა ღმერთი; სინამდვილეში, კულტურის სიღრმისეული ფაქტორი იყო სატანის, ღმერთის მტრის, წაქეზება და შეგულიანება იმ ადამიანის შიგნით, რომელიც დაშორდა ღმერთს – მუხ. 7, 16-17; მათე 12:26:

1. ასეთი კულტურა, რომელიც იყო ღმერთის გარეშე და შეერთებული იყო სატანასთან, გახდა მოდელი, რომელიც წარმოადგენდა ყველა ადამიანურ კულტურას საუკუნეების განმავლობაში და აღნიშნავდა, რომ ეს კულტურები იყო ღმერთის გარეშე და რომ ისინი გაჰყვნენ სატანას და შეუერთდნენ სატანას – შდრ. ლუკა 4:6, შენიშვნა 1.
2. უღმერთო კულტურა დაიწყო თესლის სახით დაბადების წიგნის მე-4 თავში, და ის განვითარდება ადამიანთა მოდგმის მთელი ისტორიის განმავლობაში, ვიდრე არ დასრულდება დიდ ბაბილონში, გამოცხადების წიგნის მე-18 თავში.
3. უფლის მიერ მათეს 24:37-39-ში ნათქვამი გვიჩვენებს, რომ უღმერთო კულტურა, რომელიც იყო ნოეს დროს, განვითარდება, ვიდრე არ მიაღწევს თავის უმაღლეს წერტილს უფლის მოსვლის პერიოდში.

III. კულტურა არის დაბრკოლება ღმერთის ჩანაფიქრისათვის ქრისტესთან და ეკლესიასთან მიმართებით – ეფეს. 3:10-11; 5:32:

ა. ქრისტესა და ეკლესიას გზას უღობავს რაღაც ძალიან მზაკვრული; ეს მზაკვრული წინააღმდეგობის გამწევი ელემენტი არის კულტურა – კოლ. 3:10-11; ეფეს. 2:14-15; კოლ. 2:14-15.

ბ. კულტურა არის უდიდესი დაბრკოლება ქრისტეს განცდისათვის; მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ ამას და ვერ ვხვდებით ამას, კულტურა ხელს გვიშლის იმაში, რომ განვიცადოთ ქრისტე და დავტკბეთ ქრისტეთი – ფილიპ. 3:7-8.

გ. იმაში, რომ გავიზარდოთ ყველაფერში ქრისტეს მიმართ და მივაღწიოთ სრული კაცის ზომას, ჩვენ ხელს გვიშლის ჩვენი მზაკვარი, ფარული კულტურა – კოლ. 2:19; ეფეს. 4:13, 15-16.

IV. ადამიანური კულტურა ეწინააღმდეგება ღმერთის სამეფოს – მათე 10:16-25, 34-39; 12:29, 46-50:

ა. ცოდვიანი რაღაცები არ ეწინააღმდეგება ღმერთის სამეფოს ისე ძალიან, როგორც ადამიანური კულტურა.

ბ. ადამიანური კულტურა გახდა სატანის სამეფოს ძირითადი ნაწილი და მნიშვნელოვანი შემადგენელი – მუხ. 26.

გ. კულტურა გახდა სატანის საყრდენი; სატანა მზაკვრულად ინარჩუნებს კულტურას თავის ხელში და იყენებს მას იმ მიზნით, რომ შეეწინააღმდეგოს ღმერთის სამეფოს – საქმე. 26:18; კოლ. 1:12-13.

V. ქრისტე, როგორც ყოვლისმომცველი, ვრცელი პიროვნება, ეწინააღმდეგება კულტურას და მან უნდა ჩაანაცვლოს კულტურა თავისი თავით – მუხ. 18; 3:4, 10-11:

ა. ვრცელი გამოცხადება ქრისტეს შესახებ კოლასელთა მიმართ წერილში მოცემულია იმ მიზნით, რომ ბოლო მოუღოს კულტურას – 2:8; 3:10-11.

ბ. ამ წიგნში პავლე წარმოგვიდგენს ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტეს ხედვას, რათა ჩვენზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინოს იმან, რომ ამ ქრისტემ უნდა ჩაანაცვლოს ჩვენი კულტურა – 1:27.

VI. ქრისტე, რომელიც ანაცვლებს კულტურას, არის ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე, ის, ვისაც აქვს პირველობა და ვინც არის ღმერთის სახლმშენებლობის ცენტრალურობა და უნივერსალურობა – მუხ. 15-18; 2:16-17; 3:4, 10-11:

ა. ქრისტე, რომელსაც შეუძლია, ჩაანაცვლოს ჩვენი კულტურა და გახდეს ყველაფერი ჩვენთვის, არის ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე – 1:15, 18.

ბ. კოლასელთა მიმართ წერილი იმ მიზნით დაიწერა, რომ გაეხსნა ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე, რომელიც ბოლოს უღებს ჩვენს კულტურას და ანაცვლებს ჩვენს კულტურას თავისი თავით – 3:4, 10-11.

გ. მის მიერ გადარჩენაში ღმერთი გადაგვარჩენს ჩვენ არა მარტო ცოდვისაგან, სასამართლოსაგან, ცეცხლის ტბისაგან, ქვეყნიერებისაგან და ჩვენი „მესგან“; ის ასევე გადაგვარჩენს ჩვენ იმ ყველაფრისაგან, რაც ანაცვლებს ქრისტეს, მათ შორის – ჩვენი კულტურისაგან – ებრ. 7:25.

დ. ყოვლისმომცველი, ვრცელი ქრისტე არის ჩვენში, და ჩვენ შესაძლებლობა უნდა მივცეთ მას, რომ აავსოს თავისი თავით მთელი ჩენი არსება და ჩაანაცვლოს თავისი თავით ჩვენი კულტურა – ეფეს. 3:17ა; კოლ. 1:27; 3:11.

© 2020 Living Stream Ministry